აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 7

08 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესისა და ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 55-ე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ფულადი სახსრების განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხები ჩაირიცხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 34-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის თანახმად გახსნილ ანგარიშებზე ბანკებში.

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ოლქებისათვის გამოყოფილი თანხების ჩარიცხვა მათ მიმდინარე ანგარიშებზე უზრუნველყოს კერჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა.

მუხლი 4. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია